

ახალი თაობა



5 ივლისიდან!
„ახალი თაობა“ +
საოჯახო **ფონი 6**
სამზარეულო
2 ლარი და 30 თეთრი

საოჯახო სამზარეულო
300 რეცეპტი **6** თონი
გაუზიარებელი კვება
სკოლის ასაკის ჩათვლით

პარასკევი, 5 ივლისი, 2013

№157 (6158)

ფასი: 30 თეთრი

ახალციხის სასამართლომ ნაგებასა **გვ. 5** და გაუკატიურებაში ბრალდებულები გაამართლა პროკურატურა სასამართლოს მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს

გარო ახალია:
„არც ერთი
სამხედრო
პირისთვის
შეურაცხყოფა
არ **გვ. 2**
მიმიყენებია“



**საკრებულოში
ნაციონალების
ფრაქცია
კიდევ ერთმა
დაპუტატმა
დატოვა **გვ. 5****



ქუთაისის მერია ქუთათელ-გაენათის ეპარქიას აღარ აფინანსებს **გვ. 5**

**მანანა
კობახიძე: **გვ. 3****
„საკრებულო
არჩევნებში
ნაციონალები
მეორე
ადგილზე
ვერ გავლენ“



**სანდრო ბრეგვაძე: „ივანიშვილი
პოლიტიკაში დიდი ხნით არ დარჩება“ **გვ. 7****



**რასმუსენის
განცხადება
გვ. 4**

შს-მ 116 კილო „პეროინი“ ამოიღო
შინაგან საქმეთა სამინისტრომ საერთაშორისო ნარკოტრეფიკის ფაქტი გამოავლინა. საქმე ეხება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალებებს.
სატივით ავტომანქანის ჩხრეკის შედეგად, რომელიც სხვადასხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით ჩატარდა, აღნიშნული ავტომანქანის ძარაზე დამონტაჟებულ სპეციალურ სამალავებში აღმოჩენილია განსაკუთრებით დიდი ოდენობით, კერძოდ, 500- გრამიან შეკვრებად დაფასოებული 232 ერთეული ნარკოტიკული საშუალება „პეროინი“, საერთო წონით 116 კგ.
შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ახალციხის ტერიტორიაზე დააკავეს თურქეთის და მოლდოვის რესპუბლიკების ორი მოქალაქე.
დაკავებისას თურქეთის მოქალაქე „მერსედესის“ მარკის სატივით ავტომანქანას მოლდოვის რესპუბლიკის სახელმწიფო სანომრე ნიშნით მართავდა. მას თან ახლდა მოლდოვის მოქალაქე.
გამოძიების ინფორმაციით, აღნიშნულმა პირებმა მიმდინარე წლის 3 ივლისს გადმოკვეთეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი ნინოწმინდის საბაჟო-გამშვები პუნქტის გავლით. თურქეთის მოქალაქემ საქართველოში საერთაშორისო გადაზიდვისათვის უკანონოდ შემოიტანა 116 კგ „პეროინი“, რომლის ღირებულებაც რამდენიმე ათეული მილიონი დოლარია.
საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება სხვა ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნით.

3 ივლისიდან!
„ახალი თაობა“
+
გაკიაველი
8 ლარი

100 ალაშქარების
რობლთაგ შევალეს მოთვლით

გაკიაველი



2 ნაგონ ასპირანტ
კვაყნებს შორის
თავდასვის სფაროში
თანამშრომლობას
საუწყველი ჩაყყარა

3 საბურთალოში
მომხდარი
მკვლელობა
განხილვია

4 საგარეგნო
შეკრებაზე
კონდისიციების
ჩართვას ითხოვნენ

2 შრომის
ახალი
კოლაქსი
ქალაქი
შევიდა



მარბველავილი სარჩევნო კამპანიას იწყებს

ნათია სურცილავა

საპრეზიდენტო არჩევნები 27 ოქტომბერს ჩატარდება. არჩევნების თარიღის სამჯერ შეცვლის შემდეგ მიხელ სააკაშვილმა გამოაცხადა განკარგულება, რომ საპრეზიდენტო არჩევნები 27 ოქტომბერს დაინიშნოს.

სამოქალაქო სექტორის განცხადებით, პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მისასაღებელია, მაგრამ ეს საზოგადოების ზეწოლის შედეგია.

2013 წლის 27 ოქტომბერს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებს არაერთი უცხოელი დამკვირვებელი დააკვირდება.

მონიტორინგს განახორციელებენ ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები.

წინასაარჩევნო კამპანია უკვე გახსნილია და, შესაბამისად, კანდიდატებზე დაიწყებენ ჯერ დარეგისტრირებას, შემდეგ კი კამპანიას.

წინასაარჩევნო მარათონს 10 დღეში დაიწყებს „ქართული ოცნების“ კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი.

„ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო შტაბს, სავარაუდოდ, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე უხელმძღვანელებს. სწორედ საგანელიძე ხელმძღვანელობდა 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შტაბს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართველმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა წამოიწიეს ჩართვა და მონიტორინგი დაიწყეს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი 1 ივლისიდან დაიწყო.

როგორც „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში“ აცხადებენ, ორგანიზაცია წინასაარჩევნო პერიოდს რეგიონული ოფისების მეშვეობით საქართველოს 7 რეგიონში – აჭარაში, გუ-



რიაში, იმერეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთსა და თბილისში აკვირდება.

– დაკვირვების მიზანია სამართლიანი და გამჭვირვალე საარჩევნო პროცესების ხელშეწყობა, საარჩევნო კანონმდებლობისა და საერთაშორისოდ დადგენილი დემოკრატიული სტანდარტების დაცვა საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების, საარჩევნო სუბიექტებისა და საჯარო მოხელეების მხრიდან წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე, საქართველოს მოქალაქეებისა და საერთაშორისო საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პროცესებთან დაკავშირებულ დარღვევებსა და ხარვეზებზე, – ასეთია „საიას“ განცხადება. „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მონიტორინგის საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების, ამომრჩევლის მოსყიდვის, ადმინისტრაციული რესურსის არამიზნობრივად გამოყენების, პოლიტიკური გაერთიანებების, საარჩევნო სუბიექტებისა და მათი წარმომადგენლების დაშინებისა და მუქარის, ასევე, სავარაუდოდ, პოლი-

ტიკური ნიშნით დენის, სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტებზე გაამახვილებენ ყურადღებას.

ორგანიზაცია 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პროცესების მონიტორინგს „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენლის ნინო ლომჯარია მისცხადებდა იმას, რომ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გაითვალისწინა არასამთავრობო ორგანიზაციების მოთხოვნა არჩევნების თარიღის შეცვლასთან დაკავშირებით.

ნინო ლომჯარია პრეზიდენტის ადმინისტრაციაში არასამთავრობო ორგანიზაციებთან გამართულ შეხვედრას ესწრებოდა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საპრეზიდენტო არჩევნების 27 ოქტომბერს დაინიშნის შესახებ განკარგულება გამოცხადა.

1. საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნები დაინიშნოს 2013 წლის 27 ოქტომბერს.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების თარიღის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 1 ივლისის 01/07/11 განკარგულება, – აღნიშნულია ქვეყნის პრეზიდენტის მიერ გამოცემულ განკარგულებაში.

თავდაპირველად პრეზიდენტმა არჩევნები 27 ოქტომბერს დაინიშნა, თუმცა იმავე დღეს თარიღი შეიცვალა, რაც ტექნიკურ შეცდომად შეიფასა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა ანდრო ბარნოვმა და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების თარიღად 31 ოქტომბერი გამოაცხადა.

გამოაშინებთ იქიდან, რომ 31 ოქტომბერი ხუთშაბათ დღეს იყო, ქვეყნის პირველმა პირმა გადაწყვეტილება

კვლავ შეცვალა და არჩევნები კვლავ 27 ოქტომბერს დაინიშნა. თუმცა პრეზიდენტის ამ გადაწყვეტილებაში აქტიური როლი სწორედ არასამთავრობო სექტორმა შეასრულა.

როგორც ლომჯარიამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მათმა ორგანიზაციამ არჩევნების მონიტორინგი უკვე დაიწყო და ისინი დააკვირდებიან როგორც უშუალოდ საპრეზიდენტო არჩევნებს, ასევე წინასაარჩევნო გარემოს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენლის ნინო ლომჯარია განცხადებით, მისასაღებელია ის გარემოება, რომ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა არასამთავრობო ორგანიზაციების მოთხოვნა გაითვალისწინა და არჩევნების თარიღი შეცვალა.

– ჩვენ გუშინ გვექონდა შეხვედრა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელ ანდრო ბარნოვთან რომელმაც ჩვენი მოსაზრებები მოისმინა არჩევნების თარიღის უქმედ დაინიშნასთან დაკავშირებით, რადგანაც არსებობდა საფრთხე იმისა, რომ მოსახლეობის 40%-ს არჩევნებში მონაწილეობისთვის ხელგაწერი ბარიერი შემქმნოდა. ეს არის ძირითადად ის ხალხი, რომლებიც საზღვარგარეთ და რეგიონებში ცხოვრობენ, – აცხადებს ლომჯარია.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ დავით საგანელიძის განცხადებით, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა არჩევნების თარიღი იმიტომ შეცვალა, რომ შეეშინდა.

– ეს ადამიანი მიდის იმაზე, რომ დაარღვია კანონი, როცა არჩევნები დაინიშნა 31 ოქტომბერს, მეორე, არაფრად ჩაგდო საქართველოს მოქალაქეების დიდი რაოდენობა, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ და თავის სამდღიან თუ ოთხდღიან პრეზიდენტობას ანაცვალა ეს ყველაფერი, მაგრამ, ახლა რომ გადმოიტანა თარიღი, კიდევ დამატებით ის ხასიათი გამოჩნდა, რომ ელემენტარულად შეეშინდა, ის ხომ საერთოდ მშიშარა კაცია. შეეშინდა იმიტომ, რომ ეს მაინც უნდა გაეკეთებინა. კანონი აიძულებდა ამას და იძულებული გახდა, ეს ნაბიჯი გადაედგა, – განაცხადა საგანელიძემ.

ბაჩო ახალაია: „არც ერთი სამხედრო პირისთვის შეუარსებოდა არ მიიყენებოდა“

ნათია სურცილავა

თავდაცვის ყოფილ მინისტრ ბაჩო ახალიას სასამართლო პროცესი გუშინ კვლავ გაწახლდა.

ბაჩო ახალაია თავს ისევ უღა-



ნაშაულოდ მიიჩნევს და აცხადებს, რომ მას არც ერთი სამხედრო პირისთვის არც ერთხელ სიტყვიერი შეურაცხყოფა კი არ მიუყენებია.

ბაჩო ახალაია განცხადებით, მის დაკავებას მხოლოდ პოლიტიკური მოტივი ჰქონდა.

ბაჩო ახალაია მორიგ სასამართლო პროცესზე ბრალდებისა და დაცვის მხარის შეკითხვებს უპასუხა.

– არამტოვ სენაკში გვარდიელებისთვის, არამედ, საერთოდ, ჩემი მოღვაწეობისას არც ერთი სამხედრო პირისთვის არც სიტყვიერი და არც ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიმიყენებია. მე საქართველოში დავბრუნდი უკან და მეტი არაფერი. მანამდე არც საქმე იყო აღძრული, არც გამოძიება იყო რამე მიმართულებით დანაშაულები და ერთ დღეში, 24 საათში, უცებ შევიკრიბა რაღაც საქმეები, ისე, რომ ვეფურეხები ბრალს და ვერ ვიგებდი, რაში იყო საქმე. დაკავების კონკრეტული მოტივი იყო მხოლოდ პოლიტიკური. ამ კონკრეტულ დანაშაულებზე მათ ინფორმაცია მანამდე არ ჰქონდათ, მე რომ ჩამოვედი, მაშინ გაჩნდა, – განაცხადა ახალაიამ.

ამჯერად სასამართლო ბაჩო ახალიას თავდაცვის მინისტრობის პერიოდში ჩადენილ ბრალდებებს განიხილავს. საქმე ეხება სამხედრო მოსამსახურეებისთვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების, თავისუფლების აღკვეთის ეპიზოდები და ზვიად აბუსაძისთან დაკავშირებულ ეპიზოდს, როდესაც მას, პროკურატურის ინფორმაციით, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიყენეს და თავისუფლება აღუკვეთეს.

ბაჩო ახალიასთან ერთად აღნიშნულ პროცესზე ბრალდებულების გიორგი კალანდაძის, ალექსანდრე გორგაძის, ზურაბ შამათავას, მერაბ კიკაბიძის, მანუჩარ დარასელიასა და გიორგი კინურაშვილის საქმეები განიხილება, თუმცა დარასელია და კინურაშვილი მიმალვაში არიან და, შესაბამისად, პროცესს არ ესწრებიან.

შრომის ახალი კოდექსი ძალაში შევიდა

იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული და მთავრობის მიერ ინიცირებული ცვლილებების პაკეტი შრომის კოდექსში ამოქმედდა. პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი გუშინ, 4 ივლისს, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა.

იუსტიციის მინისტრის მოადგილის, ალექსანდრე ბარამიძის განცხადებით, 8-თვიანი საკმაოდ საინტერესო და დაძაბული მუშაობის შედეგად საქართველოს მოსახლეობამ მიიღო შრომის ახალი კანონმდებლობა, რომელიც სრულად შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს. მინისტრის მოადგილე მიიჩნევს, რომ შრომის კოდექსი ხელს შეუწყობს და უზრუნველყოფს ჯანსაღი შრომითი ურთიერთობების კულტურის დამკვიდრებას საქართველოში და დაიცავს თითოეული დამსაქმებლისა და დასაქმებულის ინტერესს.

„ევრაპიის ველარ დაითხოვს სამსახურიდან დასაქმებულს ყოველგვარი მოტივაციის, ასხნა-განმარტების გარეშე; ზეგანაკვეთური ანაზღაურების გარეშე ვერავინ ვერავის ამუშავებს იმაზე მეტს, ვიდრე ამას ნორმირებული სამუშაო კვირა ითვალისწინებს. არის ახალი რეგულირებები ვადიან და უვადო შრომით ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, ინდივიდუალურ და კოლექტიურ შრომით დავებთან დაკავშირებით“, განაცხადა ალექსანდრე ბარამიძემ.

მედიანოსი

ნათონ ასპირანტ ქვეყნებს შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობას საფუძველი ჩაეყარა

გუშინ ბათუმში, ნათონ ასპირანტი ქვეყნების შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსის მოადგილეების დონეზე ოთხმხრივი შეხვედრა გაიმართა. ქართული მხარის ინიციატივით შემდგომ შეხვედრისას, საქართველოს, მონტენეგროს, ბოსნია-ჰერცეგოვინასა და მაკედონიის თანამშრომლობას ჩაეყარა საფუძველი. ოთხ ქვეყანას შორის მომავალი თანამშრომლობა მიზნად ისახავს ერთობლივი წვრთნების, სწავლებებისა და სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებით ასპირანტი ქვეყნების შეიარაღებული ძალების ნატოსთან თავსებადობის ზრდას.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ოთხმხრივ შეხვედრაზე საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსის პირველმა მოადგილემ, ბრიგადის გენერალმა ვახტანგ კაპანაძემ კოლეგებს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პერსპექტივები გააცნო. როგორც მან აღნიშნა, ნატოს მომავალ სამიტს ოთხივე ასპირანტი ქვეყნისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მომავალში ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობა ალიანსთან დაახლოებაში დაგეგმვარება, ასევე ხელს შეუწყობს ნატოსთან თავსებადობისა და ევროატლანტიკური უსაფრთხოების გაძ-



ლიერებას.

ბრიგადის გენერალმა კაპანაძემ კოლეგებს საქართველოს თავდაცვის უწყებაში მიმდინარე რეფორმები და 2013-2016 წლებში „თავდაცვის სტრატეგიული იმპიხილის“ დოკუმენტით გათვალისწინებული პრიორიტეტებიც გააცნო. მან ნატოს ასპირანტი ქვეყნების სამხედრო წარმომადგენლებს ავღანეთის საერთაშორისო მისიასა და პოსტ-აისაფის პერიოდში საქართველოს მონაწილეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიანიჭა.

ოთხმხრივ შეხვედრაზე სამთო ტექნიკური და ტაქტიკური კურსის უფროსმა, მაიორმა მალხაზ გოლუტიანმა ნატოს ასპირანტი ქვეყნების შტაბის უფროსების მოადგილეებს საჩხერის სამთო მომზადების სკოლის შესახებ პრეზენტაციაც წარუდგინა.

„ქართული მხარის ინიციატივით, ნატოს ასპირანტი ქვეყნების შეიარა-

ღებული ძალების შტაბის უფროსის მოადგილეების დონეზე დღეს მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრა შედგა. აღნიშნული შეხვედრით ფაქტობრივად საფუძველი ჩაეყარა ოთხმხრივი თანამშრომლობის ინიცირებას, რაც მოემსახურება ასპირანტი ქვეყნების შეიარაღებული ძალების ნატოსთან თავსებადობის ზრდას ერთობლივი წვრთნების, სწავლებების და სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებით. ვფიქრობ, რომ ოთხივე მხარე სასურველი ენთუზიაზმით მოეკიდა ინიციატივას და მალე პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაიდგმება, რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება, როგორც ჩვენი შეიარაღებული ძალების თავდაცვის შესაძლებლობების ზრდაზე, ასევე ქვეყნის მართლმართლ ნატოში ინტეგრაციის პროცესზე“ – განაცხადა ბრიგადის-გენერალმა ვახტანგ კაპანაძემ მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ.

საქართველოს, მონტენეგროს, ბოსნია-ჰერცეგოვინასა და მაკედონიის შტაბის უფროსების მოადგილეების ოთხმხრივი შეხვედრა ბათუმის „შერატონში“ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის მინისტრიალის მონაწილე ქვეყნების შტაბის უფროსის მოადგილეების ყოველწლიური შეხვედრის ფარგლებში გაიმართა.

მედიანოსი

ახალი თარიღი

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოხო გოგინაშვილი

მთავარი რედაქტორი – სოხო გოგინაშვილი

რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

რედაქტორის მოადგილე – მორენა მარსაგივილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საგინანო სამსახური – ჯორა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55

გაფრთხილების სამსახური – მერაბ ლევინაშვილი

დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკავალდებულებები – ინგა დვალისვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქიქავილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.

ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91

ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციამ შემოსული მასალები არ რეგულირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიები გამოქვეყნებული მასალების სიწესტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

როგორ ილაზნენ ფულს ნაციონალები

შორენა გონგლაძე

ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო შემოწირულობების წარმომავლობით სახელმწიფო აუდიტის სასახურის დანტერესდა. ამის შესახებ გუშინ აუდიტის სამსახურმა სპეციალური განცხადება გააკეთა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ უკანონო შემოწირულობის სახით ბიუჯეტიდან 5 240 880 ლარი მიიღო.

როგორც ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ზურაბ აზნაურაშვილმა განაცხადა, პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახური ამ ინფორმაციას მთავარ პროკურატურას გადაუგზავნის.

პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა პროკურატურაში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოავლინა, რომ ერთიანი ნაციონალურმა მოძრაობამ კანონის გვერდის ავლით პარტიული მიზნებისთვის გამოიყენა დასაქმების პროგრამისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები და მიიღო უკანონო შემოწირულობა 5 240 880 ლარი. კერძოდ, 2012 წელს სოციალური მომსახურების სააგენტომ საქართველოს მთავრობის დასაქმების პროგრამის ფარგლებში განახორციელა შრომითი ხელშეკრულებების დადება 21 827 პირთან, რომლებმაც წინასაარ-

ჩევნო სააგენტოში სამუშაოები განახორციელეს პარტიის სასარგებლოდ. აქვე დადგინდა, რომ დასაკონტრაქტებელ პირთა სია შედგენილი იყო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიული აქტივისა და მხარდამჭერებისთვის, რომლებიც ინფორმირებულიც კი არ იყვნენ დასაქმების პროგრამის ფარგლებში განახორციელებული სამუშაოების შესახებ. აღნიშნული ცხადყოფს, რომ რიგი სახელმწიფო უწყებების მიერ უფლებდელყოფილ იქნა დასაქმების პროგრამის მიერ დასახული მიზნები და საბიუჯეტო სახსრები მიმართულ იქნა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ. შედეგად, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ასიგნებებიდან „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მიიღო უკანონო შემოწირულობა 5 240 880 ლარის ოდენობით. პარლამენტის 2012 წლის 19 დეკემბრის ანგარიშის აქტის შესაბამისად, მოკლებული ვართ საქმის ადინისტრაციული წარმოების უფლებას, შესაბამისად, ანგარიშს შემდგომი გამოძიებისთვის საქართველოს მთავარ პროკურატურას ვუგზავნით, – აღნიშნა აზნაურაშვილმა.

ნესით, ყველა ნორმალურ სახელმწიფოში კანონის წინაშე ყველა თანასწორია და გადაცემის შემთხვევაში შესაბამისი პასუხისმგებლობა ეკისრებათ, მაგრამ, რა იქნება ჩვენს შემთხვევაში, ეს ცოტა გაურკვეველია. ყველა ეს დარღვევა ბატონი აზნაურაშვილის წინა-

მორბედ ნათია მოგელაძის დროს არის მომხდარი. ნამდვილად ვერ ვიხსენებ, ნათია მოგელაძის ნაციონალური მოძრაობის მხრიდან მსგავს დარღვევებზე გაკეთების განცხადება. ამ შემთხვევაში, საინტერესოა, გაუჩნდება თუ არა კითხვები პროკურატურას იმავე მოგელაძის მიმართ. პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყოფილი უფროსი ნათია მოგელაძე ამჟამად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ქვეყნებაში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირ საჯარო ინსტიტუტში მუშაობს, რომელიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საუნჯეო დაწესებულებაა.

თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ გენერალურმა აუდიტორმა დასაწყისშივე „გაუპრავა“ ნათია მოგელაძეს „გრეხები“ და ყველაფერი საზოგადოებასთან და არასამთავრობო სექტორთან კომუნიკაციის არარსებობას დააბრალა. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში მოგელაძე ისევე მშვიდად გააგრძელებს საერთაშორისო პროექტებზე მუშაობას და ამრობირებული გამოცდილებების უფსოვრიდან გადმოქართულებას, რასაც დღემდე მუშაობს და აკეთებს, საბოლოო განტევიების ვაცი მაინც ნაციონალური მოძრაობა და მისი სულ რამდენიმე თავკაცი გახდება. თავის გადასარჩენად დაწყებული ვირობების რბოლა გრძელდება. ვინ დარჩება საბოლოოდ უკვე სანახევროდ ჩაძირულ გემზე, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს.

მანანა კობახიძე: „საპრეზიდენტო არჩევნებში ნაციონალები მეორე ადგილზე ვერ გავლენ“

შორენა გონგლაძე

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მანანა კობახიძის განცხადებით, მნიშვნელოვანია იმ ადამიანმა უნდა აგოს პასუხი, ვინც უკანონო გზებით აფინანსებდა ნაციონალურ მოძრაობას. კობახიძე აუდიტის სამსახურის მიერ გავრცელებული განცხადებას გამოეხმაურა და განაცხადა, რომ საპარლამენტო არჩევნების წინ აუდიტის სამსახურის მოქმედება „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ იყო მიმართული.

სამწუხაროდ, საპარლამენტო არჩევნების წინ ყველას გახსოვთ, რომ აუდიტის სამსახურის მოქმედება მხოლოდ ერთი პარტიის, „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ იყო მიმართული. დღეს სხვაგვარი მდგომარეობაა. ამიტომაც დანაშაულებრივ ქმედებაზე ყველა იმ ადამიანმა უნდა აგოს პასუხი, ვინც უკანონო გზებით აფინანსებდა ნაციონალურ მოძრაობას, – აცხადებს კობახიძე.

კობახიძე მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში გამომეხმარა და განაცხადა, რომ არჩევნებში „ქართული ოცნება“ უაღრესად მარტივად იქნება. მისი თქმით, ვინც არ უნდა დაასახელოს საპრეზიდენტო კანდიდატად ნაციონალურმა მოძრა-

ბამ, არჩევნებში „ქართული ოცნების“ კანდიდატს მაინც ვერ გაუწევს კონკურენციას.

მანანა კობახიძის განცხადებით, ნაციონალური მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატს მხარს დაუჭერენ მეგობრები და ახლობლები, ის ადამიანები, ვინც განააყენებულა ახალ მთავრობაზე. ვიცე-სპიკერის თქმით, საზოგადოების დიდი ნაწილი კრიტიკულადაა განწყობილი ნაციონალური მოძრაობის მიმართ და ხელისუფლებისგანაც შესაბამის ნაბიჯებს ითხოვს. კობახიძე გამორიცხავს ნაციონალური მოძრაობის არათუ გამარჯვებას, არამედ მეორე ადგილზე გასვლასაც კი.

კობახიძის თქმით, ნაციონალური მოძრაობის პრაიმერი სექტორში და არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ საპრეზიდენტო კანდიდატად შეარჩევდნენ ისეთ ადამიანს, ვინც ნაკლებად არის გასვრილი.

რაც შეეხება პაატა ბურჭულაძეს, რომლის არჩევნებში მონაწილეობა-არმონაწილეობის საკითხი ჯერ უცნობია, მანანა კობახიძე ამბობს, რომ მას საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვს, მაგრამ, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატი, მარგველავილს კონკურენციას ვერ



გაუწევს. გარდა ამისა, კობახიძე აღნიშნავს, რომ ქვეყნისთვის უკეთესი იქნება, თუ პრეზიდენტი და მმართველი გუნდი არ იქნებიან ერთმანეთთან ოპოზიციამ.

ჩვენს პოლიტიკურ ძალას აქვს ნდობის მაღალი ხარისხი, ჯერ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი და, ალბათ, საზოგადოება დარწმუნებული უნდა იყოს, რომ რთულია, როცა პრეზიდენტი არის ოპოზიციამ, – აცხადებს კობახიძე. ვიცე-სპიკერი გამორიცხავს მეორე ტურის საპრეზიდენტო არჩევნებში და თვლის, რომ „ქართული ოცნების“ კანდიდატი პირველივე ტურში გაიმარჯვებს.

მემის ქარდავა პასუხისმგებელი ვიქსა



თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილ უფროსს მემის ქარდავას, ბრალი წარედგინა და პატიმრობა შეეფარდა. ინფორმაციას ამის შესახებ მთავარი პროკურატურა ავრცელებს.

„საქართველოს მთავარი პროკურატურისა და სამხედრო პოლიციის მიერ ჩატარებული ერთობლივი საგამომძიებო მოქმედებების შედეგად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მიეცემულ იქნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი მემის ქარდავა.

გამომძიებლის მასალებით დადგინდა, რომ მითითებულ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში მემის ქარდავამ 2012 წლის 1 თებერვლიდან 6 ივლისამდე პერიოდში, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის საინჟინერო განყოფილებიდან ფარული ხარჯების მუხლით, ოპერატიული ღონისძიების მიზნით გამოყოფილი სხვადასხვა ოდენობის თანხების ეტაპობრივად უკანონოდ გატანის გზით მითვისა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი 496 273 ლარი. მანვე, 2012 წლის 21 თებერვლიდან 2012 წლის 10 ივლისამდე პერიოდში, ასევე ეტაპობრივად გაფლანგა იმავე მუხლითა და იმავე მიზნით გამოყოფილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი 188 000 ლარი.

ჩადენილი დანაშაულისათვის მემის ქარდავას დაუსრულებლად წარედგინა საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალდება.

მემის ქარდავას აღკვეთის ღონისძიების სახით დაუსრულებლად შეეფარდა პატიმრობა და გამოცხადდა ძებნა. ამავე საქმეში საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ბრალდება წარედგინა აქვს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს ყოფილ უფროსს მალხაზ ბოზუას – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში. მათივე ინფორმაციით, საქმეზე გამოძიება გრძელდება.

ნუსპრესი

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით „სუბუტეკსი“ ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის 1-ლი მთავარი სამმართველოს მე-3 სამმართველოს თანამშრომლებმა, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის მრავალჯერ ნასამართლევი, 1971 წელს დაბადებული ილია ი. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვა-გასაღების ბრალდებით კასპის რაიონის სოფელ ალაიანში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 4 ნატეხი, ხოლო მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას 78 აბი ნარკოტიკული საშუალება „სუბუტეკსი“ ამოიღეს.

ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებული აბები დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება „ბუპრენორფინს“ შეიცავს. ნარკოლოგიურმა შემოწმებამ ილია ი.-ს „ბუპრენორფინს“ და სინთეზური „კანაბინოიდები“-ს მოხმარების ფაქტი დაუდგინა.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვა-გასაღების ფაქტზე, სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს, რაც 8-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.

ნუსპრესი

საპრეტალაოა მომხდარი მკვლელობა ბასნილია

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად, განზრახ მკვლელობის



ბრალდებით, 1982 წელს დაბადებული ზურაბ კ. დააკავეს.

დაკავებულმა გვიან ღამით, იოსების ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკებისას 1991 წელს დაბადებული თორნიკე ხიზანიშვილი ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. თორნიკე ხიზანიშვილი მიღებული სასიკვდილო ჭრილობით საავადმყოფოში გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა ზურაბ კ., დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში დააკავეს. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება განზრახ მკვლელობის და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შექმნა-შენახვა-გატარების ფაქტზე, სსკ-ის 108-ე მუხლის და 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით მიმდინარეობს.

ნუსპრესი



სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა რომან ნ. თბილისში, გამსახურდიას ქუჩაზე დააკავეს. მისი პირადი ჩხრეკისას ამოღებულია „მაკაროვი“-ს სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი 1 მჭიდით და 8 ვაზნით.

ირაკლი ქ. კი, ბერბუჯის ქუჩაზე, საკუთარ საცხოვრებელ ბინაში დააკავეს. მისი ბინიდანაც „მაკაროვი“-ს სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი ამოღებული 1 მჭიდითა და 6 ვაზნით. დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვის ფაქტზე, სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით მიმდინარეობს.

ნუსპრესი

ვახტანგ ყოლბაია: „კონფლიქტის მოგვარების მთავარი გზაა სახალხო ხალხში“

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, კონფლიქტის ზონებთან დაკავშირებით რეგიონ-მინისტრის განცხადებას ეხმიანება და აფხაზეთთან დაოსებთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენის მცდელობას პოზიტიურად აფასებს.

მისი თქმით, რუსეთთან ურთიერთობის ფონზე, პრემიერმა, კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო წინადადებები გააუღერა.

ყოლბაიას განცხადებით, რომელიც მან „ნენსპრესს“-თან საუბარში გააკეთა, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება მრავალწინააღმდეგობრივ პროცესია და ამ პროცესში, თავისი როლი, არაა სამთავრობო სექტორმა და სახალხო დიპლომატიამაც უნდა ითამაშოს.

„ეს არის ის, რაზეც საზოგადოება დიდი ხანია საუბრობს. ახლა კი ამ პროცესის გააქტიურებაა საჭირო. აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება მრავალწინააღმდეგობრივ პროცესია და ამ პროცესში თავისი როლი, არაა სამთავრობო სექტორმა და სახალხო დიპლომატიამაც უნდა ითამაშოს.“

მუშაობა ყველა მიმართულებით გასაქტიურებულია, მათ შორის ასულთარული სამუშაოებიც. საჭიროა ახვევ ორმხრივი და მრავალმხრივი მოლაპარაკებები და საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა. ამ



პროცესს აუცილებლად უნდა მიეცეს დინამიზმი, რომ კონფლიქტის მოგვარების პროცესში გარღვევა მოხდეს. ეს რა თქმა უნდა რთული პროცესია და უპირველეს ყოვლისა, კონსენსუსი სამოქალაქო საზოგადოებაში უნდა მიიღწეს, რათა ამავე კონფლიქტის მოგვარებას შეუნყოს ხელი. მთავარი გასაღები კი, ჩვენ საზოგადოებაში უნდა გამოინახოს – აცხადებს ვახტანგ ყოლბაია „ნენსპრესს“-თან საუბარში.

ნუსპრესი

შსს-მ უკანონო იარაღი ამოიღო

თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამომძიებო ღონისძიების შედეგად, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის მრავალჯერ ნასამართლევი ორი პირი: 1993 წელს დაბადებული რომან ნ. და 1993 წელს დაბადებული ირაკლი ქ., ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა რომან ნ. თბილისში, გამსახურდიას ქუჩაზე დააკავეს. მისი პირადი ჩხრეკისას ამოღებულია „მაკაროვი“-ს სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი 1 მჭიდითა და 6 ვაზნით. დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვის ფაქტზე, სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით მიმდინარეობს.

ნუსპრესი



ქუთაისის მერი ქუთათელ-გაენათის ეპარქიას ალარ აფინანსებს

შორენა მარსაგიშვილი

ახვისთვის უცხო ახ ხის, ხიმ სახელმწიფო ეკლესიას აფინანსებს. საპატრიარქოს ბიუჯეტის ყოველი რეკვირამენტი მილიონ რას იღებს. ხაზი იხაზება ეს უფრო, ახავე განაჩაგავს. ხაზმენიმე ახასამთავრობო მხარისაყვამ ცრუა ხნის ნინ საპატრიარქოს მიეცა დასახეული ფუნქციონირება მთავრად მოთხოვნა, თუმცა მათ დიდი მიმდევრები ახ გამოჩნდნენ და მაცევე გარეხდნენ.

ეკლესიის დაფინანსებისა და მის შიდა საქმეებში ჩარევის საკითხი არაერთხელ გამხდარა ხმაურიანი განხილვის საგანი. ყველამ ვიცით, რომ ზოგჯერ კულის უფროსის ყოფილი მოადგილე სოსო თოფურაძე წმინდა სინოდის სხდომებს ესწრებოდა. რა სტატუსით სარგებლობდა იმ მომენტში თოფურაძე, ვერ გეტყვი.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ სახელმწიფო მიერ რელიგიური კონფესიების დაფინანსების საკითხი შეისწავლა. კვლევამ აჩვენა, რომ დაფინანსების რაოდენობით საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესია ლიდერობს. ეს, ალბათ, არცაა გასაკვირი. მართლმადიდებელი ეკლესიის ამ ქვეყანაში განსაკუთრებული ადგილი უკავია.

– 2002 წლიდან დღემდე საქართველოს ხელისუფლების მიერ საქართველოს საპატრიარქოსთვის გამოყოფილი თანხა 200 მილიონამდე ლარს შეადგენს.

2002-2013 წლებში ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს საპატრიარქოსთვის გამოყოფილი თანხა 200 მილიონამდე ლარს შეადგენს. არასამთავრობო ორგანიზაციის ანგარიშის თანახმად, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ განხორციელებული ხელისუფლების ცვლილების შედეგად ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ქუთათელ-გაენათის ეპარქიის ნაცვლად საქართველოს საპატრიარქო ფინანსდება.

4 ივლისს გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, 2013 წელს ქუთაისის მერიამ საქართველოს საპატრიარქოსთვის 112 ათასი ლარი გამოყო, საიდანაც, 30 აპრილის მონაცემებით, 87 700 ლარი იყო გადარიცხული. ინტერნეტპორტალ „ნეტაზუთის“ ცნობით, გასულ წლებში ქუთაისის მერია პირდაპირ აფინანსებდა ქუთათელ-გაენათის ეპარქიას, რომელიც მიტროპოლიტი კალისტრატე (მარგალიტაშვილი) ხელმძღვანელობდა და რომელიც დიდი გამოხატავდა თავის მხარდაჭერას პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისადმი. 2007 წელს ქუთაისის მერიამ ქუთათელ-გაენათის ეპარქიას გადაურიცხა 33 ათასი ლარი, 2008 წელს – 99 500 ლარი, 2009 წელს – 45 ათასი ლარი, 2010 წელს – 40 ათასი ლარი, 2011 წელს – 71 500 ლარი, 2012 წელს – 45 ათასი ლარი.

2013 წელს ქუთაისის მერიამ საქართველოს საპატრიარქოს უფასო აღნაგობის ფორმით გადასცა სკვერის ნაწილი (500 კვ.მ) ეკლესიის მშენებლობისთვის, ხოლო 2012 წლის ნოემბერში – მინის ნაკვეთი (336.0 კვ.მ), ასევე, ეკლესიის მშენებლობისთვის.

ქუთაისის მერია წინა წლებშიც გადასცემდა საქართველოს საპატრიარქოს უფასო აღნაგობისა და უზურრუქტის ფორმით მინის ნაკვეთებს ეკლესიების მშენებლობისთვის: მაგალითად, 2012 წლის ივნისსა და ივლისში ორი მინის ნაკვეთი (საერთო ჯამში, დაახლოებით 5200 კვადრატული მეტრი) გადაეცა, 2011 წელს – ერთი მინის ნაკვეთი და მასზე დამატებული შენობა, 2010 წელს – 10 მინის ნაკვეთი (საერთო ჯამში, 10 790 კვადრატული მეტრი), 2009 წელს – 2 მინის ნაკვეთი, 2008 წელს – 5 მინის ნაკვეთი (საერთო ჯამში, 10 416 კვ.მ). 2007 წელს საქართველოს საპატრიარქოს უფასოდ საკუთრებაში გადაეცა 2 მინის ნაკვეთი, 2006 წელს – 1 მინის ნაკვეთი, 2003-04 და 2005 წლებში – ასევე, თითო-თითო მინის ნაკვეთი, ხოლო 2002 წელს – 2 მინის ნაკვეთი.

დასკვნების გაკეთება თქვენთვის მიგიწოდია. ისე კი, მართლაც უზურრუქტია, რომ ქუთაისის მერიამ არჩევნების შემდეგ პოლიტიკური ნიშნით ეპარქიის დაფინანსება შეწყვიტა.

სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ სახელმწიფო და ეკლესია ერთმანეთის შიდა საქმეებში ისევ ერევიან.

2006-2012 წლებში საქართველო თავდაცვის სამინისტრომ საპატრიარქოს გადასცა 8 388 200 ლარი, გარდა ამისა, სხვადასხვა ეპარქიებს თავდაცვის სამინისტროსგან გადაეცა 16 სხვადასხვა მარკის ავტომობილი და საავტომობილო ნაწილები. 600 000 ლარი გადაურიცხა საპატრიარქოს საქართველოს შინაგან

საკრებულოში ნაციონალური ფრაქცია კიდევ ერთმა ღაუჭებმა ღაჭოვა

შორენა მარსაგიშვილი

თბილისის საკრებულოში ნაციონალური მოძრაობა ღაჭის სულს ღაჭავს. რამდენიმე დღის წინ ნაცმოძრაობის იონათამიშვილმა დატოვა. გუშინ კი მას დავით წერეთელი მიჰყვა. ამის გამო ნაციონალური საკრებულოში არიან ჩაგარდნილი. მათი კოდება, შესაძლოა, კიდევ გაგრძელდეს. ამბობენ, რომ ნაცმოს კიდევ რამდენიმე ადამიანი დატოვებს.

დავით წერეთელმა გუშინ ოფიციალურად დაადასტურა ნაციონალურ განსაცდელში მითვისების ფაქტი. პირველ ეტაპზე ის დამოუკიდებელი დეპუტატი იქნება, მეორე კი, შესაძლოა, „ქართულ ოცნებას“ ჩაეხუტოს.

დეპუტატის თქმით, ფრაქცია „ნაციონალურის“ დატოვების გადაწყვეტილება მან ადამიანის ღირსების შემახველი ვიდეოების, ასევე კოვი იონათამიშვილის პირადი წერილის გამოქვეყნების შემდეგ მიიღო.

– ფრაქციის დატოვება განაპირობა იმან, რომ ჩემზე ძალიან იმოქმედა გაგრძელებულმა ავადსახსენებელმა კადრებმა და არ მინდა, მასთან და მის ჩამდენ პირებთან ვასოცირდებოდე, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში წერეთელმა.

დედაქალაქის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – თბილისელებს“ თავმჯდომარე გულიკო ზუმბაძე ვარაუდობს, რომ ფრაქცია



„ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი წევრი დავით წერეთელი „ქართული ოცნების“ ფრაქციებთან ითანამშრომლებს.

როგორც გულიკო ზუმბაძემ „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნა, მას ჰქონდა ინფორმაცია, რომ დავით წერეთელი ნაციონალური მოძრაობის დატოვებას აპირებდა.

– მე ვიცი, რომ კიდევ 2-3 ადამიანი აპირებს „ნაციონალური მოძრაობის“ დატოვებას. ისინი სხვადასხვა დროს აკეთებენ განცხადებას, ყველა თავის დროს ელოდება, – განაცხადა გულიკო ზუმბაძემ.

დავით წერეთელი, ამავდროულად, თბილისის საკრებულოს ურბანული დაგეგმვების კომისიის თავმჯდომარეც არის.

საკრებულოს დეპუტატ მამუკა ახვლედიანის განცხადებით, მთავრობის ძირითადი მიზანი ნაციონალური მოძრაობის განადგურებაა.

– ჩვენი ოპონენტები სამწუხაროდ, ყველანაირი ფორმითა და მეთოდით ცდილობენ „ნაციონალური მოძრაობის“ განადგურებას. არა მხოლოდ მთავრობა, არამედ ძალადგანი

სტრუქტურები, შინაგან საქმეთა სამინისტრო, პოლიცია, პროკურატურა და ყველა ჩართულია ამ ერთ საქმეში. ამ საქმის მიზანი ერთია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ როგორმე განადგურდეს, – განაცხადა ახვლედიანმა.

დღეის მდგომარეობით, ფრაქცია ნაციონალური მოძრაობაში 22 წევრი რჩება, თუმცა, როგორც გულიკო ზუმბაძე ამტკიცებს, იქიდან კიდევ რამდენიმე ადამიანი წაიშლება.

ფრაქციიდან ნაციონალურის გადინების პროცესი შარშანდელი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაიწყო. არჩევნებამდე ყველანი სააკაშვილის მხეს ფიცდობდნენ, ახლა კი მათი მზე ბიძანა ივანიშვილი გახდა.

ვილახას, შეიძლება, ძალიანაც მოსწონს ნაციონალურის დაქვეყნის პროცესი. ეს მისასაღებელი იმ შემთხვევაში იქნებოდა, ამ ხალხს ნაცმოდ პარტიის ზეობის ხანაში რომ დაეტოვებინა. ახლა კი ნაცმოდან წასვლას ფასი არა აქვს. საინტერესო ისაა, რატომ იწებებს ამ ხალხს ოცნება. მათ ექსპანსიონალიზმი ისედაც არ აკლიათ.

სასამართლო ნაშაბასა და გაუპატიურებაში ბრალდებულები გაამართლა

პროკურატურა სასამართლოს მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ ბორჯომში საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეები 2 დღის წინ სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ და ხელისუფლებას კანონიერების დაცვისკენ მოუწოდებდნენ.

რამდენიმე თვის წინ დააკავეს ბორჯომის პოლიციის თანამშრომლები. რომლებსაც ადამიანების წამებასა და გაუპატიურებაში ედებოდათ ბრალი. ამ ამბავს მაშინ დიდი ხმაური მოჰყვა. 2 დღის წინ კი ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გორა ჯეირანაშვილმა მამუკა ხვედელიანის, სერგო სამსონიძის, ალექსანდრე ბლიაძის, გიორგი ბლიაძისა და გიორგი ლომიძის მიმართ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი.

ამ გადაწყვეტილებას მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას მთავარი პროკურატურა გასაჩივრებს. პროკურატურას ჯერ დასაბუთებული განაჩენი არ მიუღია. განაჩენის მიღების შემდეგ გადაწყვეტა მისი გასაჩივრების საკითხი.

მანამდე კი პროკურატურამ საგანგებო განცხადება გააკრულა. ეს განცხადება მედიას პროკურატურის პრესსამსახურის უფროსმა ხათუნა პაიჭაძემ გააცნო.

– ბრალდებულებს ბრალი ედებოდათ სხვადასხვა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებების ჩადენაში. ბრალდების არსი მდგომარეობდა შემდეგში: 1. 2009 წლის 1 იანვარს დაბა ბაკურიანში მომხდარი ინციდენტის გამო ადგილობრივმა პოლიციამ რამდენიმე პირი დააკავა, რომლებიც ბორჯომის პოლიციის სამმართველოს უფროსმა მამუკა ხვედელიანმა ბორჯომის პოლიციის სამმართველოში გადაიყვანა. სამმართველოში მისვლისა დაკავებულ პირებს მამუკა ხვედელიანის ბრძანებით მოსსნეს ხელბორკილები, აიყვანეს მეორე სართულზე, განათავსეს

ცალ-ცალკე ოთახებში, სცემეს და მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა. მათ ცემაში მონაწილეობდნენ მამუკა ხვედელიანი და პოლიციელები სერგო სამსონიძე, ალექსანდრე ბლიაძე და გიორგი ბლიაძე.

ერთ-ერთ დაზარალებულს დაუჭირეს ხელი, ჩაუხიეს შარვალი, საჯდომზე მიაგდეს პლასტმასის ბოლი და გადაუღეს სურათები როგორც სახეზე, ასევე საჯდომზე. სურათებს მიზნობრივი ტელეფონით იღებდა სერგო სამსონიძე. ვინაიდან ცემის გამო მსხვერპლს სახიდან მოსდოდა სისხლი, იგი პერიოდულად გაჰყავდათ საპირფარეოში, სხვაც ეს უკანასკნელი იბანდა სისხლიან სახეს. ცემისას ალექსანდრე ბლიაძემ მსხვერპლს მარცხენა ყურზე დააღო ანთებული სიგარეტი და ყური დაუწვა.

ამის შემდეგ ნაცემი დაზარალებული პოლიციის ორმა თანამშრომელმა მიიყვანეს მაგიდასთან, გადახარეს და გიორგი ბლიაძეს უთხრეს, რომ მასთან დაემყარებინა სექსუალური კავშირი, რის საპასუხოდაც გიორგი ბლიაძემ აიღო რკინის სკამი და სკამის ფეხი მსხვერპლს უკანა ტანში შეუყვანა. გაუპატიურების შემდეგ კი მსხვერპლი იატაკზე დააგდეს. ამის შემდეგ მამუკა ხვედელიანმა მსხვერპლს უთხრა, რომ გადაღებულ სურათებს ბაკურიანის ცენტრში გამოუქვეყნებდა თუკი ჭკუით არ იქნებოდა.

მეორე დანაშაულებრივი ეპიზოდი, რომელშიც ბორჯომის პოლიციის სამმართველოს უფროსი მამუკა ხვედელიანი იმხილებოდა 2011 წლის 27 მაისს მოხდა, როცა დაბა ახალდაბაში არსებულ რესტორან „ბურჯები“ პოლიციის მუშაკებმა 2011 წლის 26 მაისს ქ. თბილისში ოპოზიციის მემბრზე ყოფნის გამო უკანონოდ დააკავეს სამი პირი. აღნიშნული პირები მამუკა ხვედელიანის დავალებით წაიყვანეს ბორჯომის პოლიციის შენობაში, ყოველგვარი კანონიერი საფუძვლის გარეშე დააკავეს ადმინისტრაციული წესით თითქოსდა მათ, ერთმანეთში იხუტეს და სწორედ ამით დაარღვეეს საზოგადოებრივი წესრიგი. აღნიშნულ პირებს მიაყენეს ფიზი-

კური შეურაცხყოფა, ერთ-ერთ მათგანს კი ჩაუტყვიანეს ნეკნი.

ზემოაღნიშნულ ქმედებათა გამო ბრალდებულებს მამუკა ხვედელიანს, სერგო სამსონიძეს, ალექსანდრე ბლიაძეს, გიორგი ბლიაძესა და გიორგი ლომიძეს ბრალი დაედო ისეთ უმძიმეს დანაშაულებებში, როგორცაა სასახურეობრივი უფლებამოსილების გადაამეტება, პირის დამცირება და იძულება, ასევე არაადამიანური ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა და განზრახ უკანონო დაკავება.

აღნიშნული ბრალდებები დასტურდება მტკიცებულებათა ერთობლიობით, როგორცაა ექსპერტისა და დამიანური ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენებისა და მონაშაულები და სხვა, რომლებიც მოპოვებული იქნა როგორც წინააღმდეგობის, ასევე სასამართლო გამოძიების დროს.

ამ საქმის განხილვა რამოდენიმე თვე გრძელდებოდა ახალციხის რაიონულ სასამართლოში. განაჩენის გამოტანამდე რამოდენიმე დღით ადრე მოსამართლე გორა ჯეირანაშვილი მისი ინიციატივით, არაოფიციალური ვითარებაში შეხვდა სამცხე-ჯავახეთის პროკურორის გივი პაპუაშვილს და ურჩია, რომ ბრალდებულებთან გაეფორმებინა საპროტესტო შეთანხმება მათი გათავისუფლების პირობით, რაც მოსამართლის სიტყვებით ყველასათვის კარგი გამოსავალი იქნებოდა. პროკურორმა მოსამართლის ამ შეთავაზებას უარით უპასუხა, რადგან ბრალდებულ პირთა გათავისუფლება და მათთვის პირობითი მსჯავრების დაწესება არაადექვატური სასჯელი იქნებოდა მათ მიერ ჩადენილ ქმედებებთან მიმართებაში, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

საინტერესოა რა გადაწყვეტილებას მიიღებს პროკურატურა. ეს უწყება დასაბუთებული განაჩენის მიღებას ელოდება. თუმცა რაკი ასეთი განცხადება გააკეთეს, სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება უკვე გადაწყვეტილი აქვთ.



რეპონებს ისევ ნაციონალური აკონსტიტუციონალიზაცია

თამარ ნინიძე

ქართული საზოგადოება უკვე გაუხვევლობაშია. მათი, პეტიციონის, მინისტრის ივანიშვილის მხარე, მისი პოლიტიკური ნაწილის შესახებ ვნებები ჩაახსიხს, მაგრამ ქვეყანაში ეს საკითხი ხომ უპირობოდ უნდა იქნას, ფაქტია, საზოგადოებამ ვეი მიიღო ნათელი პასუხი იმაზე, ხომლის მიღის ივანიშვილი, სად მიღის და სად იპოვის ის თავის სამოღვაწეო ადგილს, ხომლის მდგომარეობაში დაყოველს ხელისუფლებას, ივანიშვილი საზოგადოებას აიძულებს, ხომ სანამ ნავა იხიუნებს იმაზე, ხომ ხელისუფლების მტოები სტაბილურად დაყოვოს, იმედოვნებს, ხომ ის გუნდი, ხომელსაც ის დაყოვებს, ახ ჩამოიშლება და ყველა თავის გზას ახ დაადება.

გორ მოახერხებდა კოალიცია ეკლექტური შემადგენლობით ერთმანეთთან ადამიანურ ურთიერთობას და კოალიციური მთავრობა როგორ მოახერხებდა საქმიანობის გაგრძელებას. ქართული ოცნების "ხელისუფლებაში ყოფნის ცხრა თვის მანძილზე ჯერ კიდევ გაურკვეველია საგარეო კურსი იმის გათვალისწინებით, რომ ივანიშვილი უცნაურ განცხადებებს აკეთებდა ახალი ხელისუფლების დაკომპლექტების პირველ ხანებშივე, ის საქართველოს ურჩევდა, მიეხატა სომხეთისთვის, სომხეთი ჩვენითვის მისაბაძი ქვეყანააო, მაგრამ, რას გულისხმობდა ამაში, დღემდე ვერ გავარკვევით. თუ მისაბაძი ის არის, რომ სომხეთი რუსეთის სტრატეგიული პარტნიორია და ვერაზიული კავშირისკენ მიისწრაფვის, ხოლო ევროინტეგრაციის სურვილს არ გამოხატავს, ეს მისაბაძი არ არის, სომხეთს დასავლური სამყარო არ აღიქვამს დაბალანსებული პოლიტიკის კლასიკურ მაგალითად. დღევანდელ ვითარებაში ვერც ერთი პოსტსტატუსო რესპუბლიკა წარმატებულად ვერ ახორციელებს დაბალანსებულ საგარეო კურსს, ეს თითქმის შეუძლებელი და წარმოუდგენელია. ივანიშვილმა პირველივე ხანს განაცხადა, რომ რკინიგზის აფხაზური მონაკვეთის გახსნის მომხრე იქნებოდა, რამაც სომხეთი გაახარა, მაგრამ აზერბაიჯანს სერიოზული ეჭვების საფუძველი გაუჩინა, ამავე დროს, ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის პროექტი შეჩერებულია და ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა პრესკონფერენციაზე აზერბაიჯანელი ჟურნალისტის კითხვამაც. აქაც კონკრეტული პასუხი ვერ მივიღეთ, თუ აფხაზეთის რკინიგზის მონაკვეთი გაიხსნება, ოფიციალური ბაქო-ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის პროექტზე უარს იტყვის, არადა, თავისი მნიშვნელობით ეს უნდა ყოფილიყო საუკუნის პროექტი. როცა რუსეთთან ურთიერთობების აღდგენაზე ივანიშვილი საუბრობს, რუსეთის ოკუპანტი ჯარი საოკუპაციო ზოლს ლაშქარის თბილისისკენ სწევს, ამ ფონზე ჩვენი დასავლელი პარტნიორი სახელმწიფოები არ არიან დარწმუნებულნი იმაში, რომ ახალი ხელისუფლება დასავლურ კურსს ატარებს. მართალია, ივანიშვილმა დააფიქსირა, რომ ავღანეთში სამშვიდობო მისიას ქართველი ჯარისკაცები არ გამოეშვენიან, მაგრამ ეს მაინც არ მოწმობს იმას, რომ საქართველო დასავლურ კურსზე უარს არ იტყვის.

დასავლელი პარტნიორები და არც შიგნით ქვეყანაში ხორციელდება, ამ ვითარებაში როგორ სრულდება ბიუჯეტი – ეს მხოლოდ ხადურმა იცის. ივანიშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ საინვესტიციო ფონდი შექმნის უცხოეთიდან ინვესტიციების მოზიდვას და ის ამას ხელს მაშინ შეუწყობს, როცა პოლიტიკიდან წავა.

სასამართლო რეფორმა რომ ჩაეშალა, ეს საზოგადოებაში კამათს არ იწვევს. ფაქტია, რომ იუსტიციის საბჭოს არჩევნებმა გვაჩვენა, რომ სასამართლო ხელისუფლება ნაციონალურ კლანჭებიდან ვერ გამოვტაცებთ. ამ ვითარებაში სასამართლო რეფორმის აღდგენა, რასაც საზოგადოების უდიდესი ნაწილი მოთმინებით ელოდება, ეფექტური არ იქნება ანუ მოგვიწევს ისევ კობახიძის შეგუება იმ რეჟიმთან, რომელმაც აშკარა დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ გვაქვს მძიმე მოლოდინი, რომ პროკურატურა ვერც ერთ გახმაურებულ საქმეზე იმ მტკიცებულებებს ვერ დადებს, რომელიც კონკრეტული პირების მსჯავრდებულება გადასცემისთვის იქნება საჭირო.

ჯერჯერობით სრული კრიზისია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, უმრავლეს რეგიონში ვერც ისევე მართალები ლიდერობს და, ცხადია, არ თმობენ ძალაუფლებას, ამ ვითარებაში ვერ არ ჩანს იმის სურვილიც კი, რომ ახალმა ხელისუფლებამ დაიწყოს თვითმმართველობის რეფორმაზე მუშაობა. ძალიან საგულისხმო და შემამოშობელია ივანიშვილის განმარტებით იმასთან დაკავშირებით, რომ გადასინჯება საკონსტიტუციო ცვლილებები და პრეზიდენტის უფლებები დაუზღუდვინდება. ცნობილია, რომ ნაციონალური მთავრობის განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებებით პრეზიდენტი-მინისტრის გაზრდილი უფლებები ერთ კაცზე მიხეილ სააკაშვილზე იყო მორგებული, სააკაშვილი დარწმუნებული იყო, რომ მართალია, სააკაშვილი იქნებოდა და მისი გეგმები ჩაშალა, ახლა კი ძლიერი პრეზიდენტის ინსტიტუტის ისევე ამოქმედება საქართველოს დემოკრატიას კარგს, საგარეოდ, არაფერს უქადის. ბალანსი სახელისუფლებო მტოებს შორის ვერ არ არის მიღწეული და საქართველოს უახლესი წარსულის გათვალისწინებით პრეზიდენტის გაზრდილი უფლებები ისევ იმ რისკს წარმოადგენს, რომ მივიღოთ ერთპიროვნული მმართველობა. ამ ფონზე მიდევნებელი იქნება ხელისუფლებიდან და ტოვებს ერთობ ეკლექტურ პოლიტიკურ საქმეს, რომელიც ერთიანობას მხოლოდ ივანიშვილის ფაქტორის გათვალისწინებით იწარჩუნება. მოკლედ, დემოკრატიული მმართველობის საფუძვლები ქვეყანაში ვერ არ არის მიღწეული და არის იმის რისკი, რომ ივანიშვილის გარეშე დარჩენილმა პოლიტიკურმა პარტიებმა კოალიციის შიგნით ვერ მოახერხონ მზარდი ამბიციების გამო ერთმანეთთან თანამშრომლობა, ამას ემატება არასაპარლამენტო ოპოზიცია, რომელიც მხოლოდ ივანიშვილის ხელისუფლებიდან წასვლას ელოდება, რომ მმართველ კოალიციაში მყოფი ლიდერი პარტიები – რესპუბლიკელები და ალასანია – ჩააჩირონ.

დავით დვალის და ჯარჯი აქიმიძის „ნაციონალური მოძრაობის“ მოუწოდებანი, „რუსთავი 2-სთან“ ხელისუფლების დათმობის შესახებ

„რუსთავი 2“-ის თანადამფუძნებლები დავით დვალი და ჯარჯი აქიმიძე „ნაციონალური მოძრაობის“ მოუწოდებენ, ტელეკომპანია „რუსთავი 2-სთან“ ხელისუფლების დათმობის შესახებ ნათქვამია მათ მიერ გავრცელებულ განცხადებაში, რომელსაც „პირველი“ უცვლელად გთავაზობთ:

„1994 წლის 1 ივნისს მაუწყებლობა დაიწყო ახალმა, დამოუკიდებელმა ტელევიზიამ. 2004 წლის 16 ივნისს, ზუსტად 10 წლის და 16 დღის შემდეგ, ხელისუფლებამ მოსულმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ იძულების, შანტაჟის და მუქარის შედეგად, ხელში ჩაიგდო „რუსთავი 2“, საქართველოს ნომერი პირველი მაუწყებელი. დღეს, ცხრამეტი წლის მანძილზე, ხელისუფლება, საზოგადოება ნელ-ნელა ეცნობა შემადგენელი ნაწილის სიმართლეს „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ჩადენილი მრავალი დანაშაულის, დაშვებული შეცდომებისა და გაუაზრებელი ქმედებების შესახებ, რის განხორციელებაშიც მიტაცებულმა და პროპაგანდისტულ იარაღად გადაქცეულმა ტელევიზიამ ფასდაუდებელი როლი შეასრულა. დღესაც, ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების მიჯნაზე, სააკაშვილის პირადი მძევლი „რუსთავი 2“ კვლავ რჩება პოლიტიკური ბრძოლის მთავარი იარაღად. სწორედ ამიტომ მოითხოვს ჯერ კიდევ საქართველოს პრეზიდენტი, შეწყვეტოს გამოძიება „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით. ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ „რუსთავი 2“ არის დემოკრატიის ინსტიტუტი და დაგვავინდობს, რა გზებითა და ხერხებით დასამარა დამოუკიდებელი მედიის განვითარება საქართველოში. მცირედი შესწორებით ჩვენც



ვიმეორებთ მის გამონათქვამს: „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების დათმობის შესახებ ნათქვამია მათ მიერ გავრცელებულ განცხადებაში, რომელსაც „პირველი“ უცვლელად გთავაზობთ:

„1994 წლის 1 ივნისს მაუწყებლობა დაიწყო ახალმა, დამოუკიდებელმა ტელევიზიამ. 2004 წლის 16 ივნისს, ზუსტად 10 წლის და 16 დღის შემდეგ, ხელისუფლებამ მოსულმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ იძულების, შანტაჟის და მუქარის შედეგად, ხელში ჩაიგდო „რუსთავი 2“, საქართველოს ნომერი პირველი მაუწყებელი. დღეს, ცხრამეტი წლის მანძილზე, ხელისუფლება, საზოგადოება ნელ-ნელა ეცნობა შემადგენელი ნაწილის სიმართლეს „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ჩადენილი მრავალი დანაშაულის, დაშვებული შეცდომებისა და გაუაზრებელი ქმედებების შესახებ, რის განხორციელებაშიც მიტაცებულმა და პროპაგანდისტულ იარაღად გადაქცეულმა ტელევიზიამ ფასდაუდებელი როლი შეასრულა. დღესაც, ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების მიჯნაზე, სააკაშვილის პირადი მძევლი „რუსთავი 2“ კვლავ რჩება პოლიტიკური ბრძოლის მთავარი იარაღად. სწორედ ამიტომ მოითხოვს ჯერ კიდევ საქართველოს პრეზიდენტი, შეწყვეტოს გამოძიება „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით. ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ „რუსთავი 2“ არის დემოკრატიის ინსტიტუტი და დაგვავინდობს, რა გზებითა და ხერხებით დასამარა დამოუკიდებელი მედიის განვითარება საქართველოში. მცირედი შესწორებით ჩვენც



სასერტიფიკაციო გამოცდებზე პედაგოგებს „შპარგალკები“ ჩამოართვას

